ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის

ლევან ჟორჟოლიანის

(2022 წლის 31 ოქტომბრიდან - 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით)

საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

დედაქალაქის საკრებულოს წევრი და ამავდროულად, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2022 წლის 31 ოქტომბრიდან - 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მოგახსენებთ, რომ ვარ ფრაქციის **„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“** წევრი, რომლის ფარგლებშიც, **2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ოქტომბრის ჩათვლით** მონაწილეობა **მივიღე 18 სხდომაში** და **განვიხილე 26 საკითხი.**

ამასთან, მ/წლის 21 ივლისის ჩათვლით გახლდით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის** წევრი. 2022 წლის 31 ოქტომბრიდან 2023 წლის 21 ივლისის ჩათვლით დავესწარი კომისიის 16 სხდომას და შევისწავლე 247 საკითხი.

ხოლო, მ/წლის 21 ივლისიდან დღემდე გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **გარემოს დაცვის კომისიის** წევრი. ამ დროის განმავლობაში დავესწარი კომისიის 3 სხდომას და შევისწავლე 20 საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში, საანგარიშო პერიოდში შემოსულია **100-ზე მეტი** განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება, ასევე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა ასობით მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ **2022 წლის 31 ოქტომბრიდან - 2023 წლის 31 ოქტომბრის** ჩათვლით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ჩაატარა **20 (ოცი)** სხდომა. ხსენებული სხდომების ფარგლებში განხილულ იქნა **382 განკარგულებისა** და **105 დადგენილების პროექტი.**

ზემოხსენებულ სხდომებზე დეტალურად შევისწავლეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები. ნორმატიული აქტების პროექტებზე ჩატარებული სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში, კომისიას გააჩნდა

როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა პრეამბულისა და თავად პროექტის მუხლების ტექნიკურ, სამართლებრივ, შინაარსობრივ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასა და კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული/წარდგენილი შენიშვნები გაიზიარა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, თავად ჩვენს (კომისია) მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

წარმოდგენილ ანგარიშში ცალკეულად გამოვყოფ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც განხილულ და მხარდაჭერილ იქნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

<u>სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება/წინადადებები:</u>

საანგარიშო პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის საქმიანობის ფარგლებში, განვახორციელეთ არაერთი სამართლებრივი აქტის ექსპერტიზა.

ასევე, ჩართული ვიყავი სამართლებრივი აქტები პროექტების შემუშავებაში. მათ შორის, მონაწილეობა მივიღე საქართველოს პარლამენტში ადგილობრივი თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროექტების განხილვაში და კანონპროექტის ავტორებს პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე რიგ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციები გავუზიარე.

ასევე, აღვნიშნავ, რომ საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში რამდენიმე ცვლილება განვახორციელეთ, რის შემუშავებაში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია აქტიურად ვიყავით ჩართულნი.

აღსანიშნავია, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მ/წლის 15 და 17 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართეს შპს ,,ათორის" (ს/ნ: 405077633) დაზარალებულებმა და შემდეგი საკადასტრო ერთეულებისთვის: ა) ქ.თბილისი, საირმის ქუჩა N37 (ს/კ: N01.10.14.024.036) ბ) ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ: N01.14.11.024.004) გ) ქ.თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: N01.14.11.024.012) ითხოვეს დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭება.

აღნიშნული მოთხოვნის და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე, საკრებულოს რეგლამენტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარვადგინე ჩემი ხელმძღვანელობით შემუშავებული: ,,მისამართებზე- ქ.თბილისი, საირმის ქუჩა N37 (ს/კ: N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ: N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: N01.14.11.024.012) მდებარე ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე" განკარგულების პროექტი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომაზე დაამტკიცა.

<u>დაუმთავრებელი მშენებლობები:</u>

აქვე მსურს შევეხო დღეისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეალობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ **დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი ერთ-ერთი უმწვავესი თემაა დედაქალაქისთვის, როგორც ურბანული, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.** დედაქალაქში ათასობით ოჯახია დაზარალებული, რომლებიც სახელმწიფოსგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ელოდებიან.

აღნიშნული პრობლების მოგვარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა **დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია,** რომელიც შეისწავლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაინტერესებულ პირთა განცხადებებს/წინადადებებს და გასცემს რეკომენდაციას დაზარალებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან ვარ ზემოხსენებული კომისიის წევრი.

კომისიამ 179 დაუმთავრებელი ობიექტიდან შეისწავლა 80-ზე მეტი მშენებლობა. მათგან 60 დაუმთავრებელ ობიექტზე წარუდგინა რეკომენდაციები თბილისის მთავრობას. მთავრობის გადაწყვეტილებითა და და საკრებულოსთან შეთანხმებით დღეის მდგომარეობით 60 დაუმთავრებელ მშენებლობაზე გაცემულია შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა აქტიური მუშაობა სხვადასხვა დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისათვის. შედეგად ჯამურად კიდევ 1000-მდე დაზარალებულის დაკმაყოფილება შევძელით.

გარდა განხორციელებული პროექტებისა, მიმდინარე პერიოდშიც კომისიურ რეჟიმში არაერთი დაუსრულებელი მშენებლობის საკითხის შესწავლა მიმდინარეობს და სამომავლოდ მათი პრობლემის საბოლოო ამოწურვისათვის აუცილებელი სამუშაო ხორციელდება, რომელთა პროექტების შემუშავებისა და სამართლებრივი კუთხით გამართვის პროცესში უშუალო მონაწილეობას ვღებულობ.

<u>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემის საკითხები</u>

აღსანიშნავია ქონების გადაცემის საკითხები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლით, რამდენადაც, ხდება **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** უძრავი ქონების გადაცემა **იმ პირთათვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის (10-15-20 წლის) განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ** შესაბამისი უძრავი ქონებით.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა ქონებათა გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებში **400**-მდე ოჯახს გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული ფართები სხვადასხვა მისამართზე.

ე.წ. „წითელი აგურების კორპუსებში" არსებულ ფართებთან დაკავშირებით, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირთა, აგრეთვე, აღნიშნულ ფართებში თვითნებურად მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესების დაცვისა და **არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით,** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ მოძიებულ იქნა, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და თბილისის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი -3-ის დასახლება, მე-2 მ/რ-ში მდებარე კორპუსი N33-N37-ში მდებარე ფართების სათანადო პირებისათვის პრივატიზების თაობაზე, სხვადასხვა წლებში მიღებული, გადაწყვეტილებები, გამოვლენილ იქნა პირთა წრე, რომელთაც უნდა გადასცემოდათ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართები, თუმცა, სხვა პირთა მიერ, თვითნებურად შეჭრის გათვალისწინებით, ვერ განახორციელეს აღნიშნული. **მითითებულ შემთხვევასთან მიმართებით, თბილისის მთავრობის ინიციატივითა და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული**, კანონიერი მესაკუთრეებისათვის, „წითელი აგურების კორპუსში" არსებული ფართებთან მიმართებით, მოთხოვნის უფლების დათმობის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, სხვა საცხოვრებელი ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემა და წლების მანძილზე არსებული პრობლემების აღმოფხვრა.

მიღებულ იქნა დადგენილება - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის

დამტკიცების შესახებ", რითაც, წინა დადგენილებასთან შედარებით, უფრო სრულყოფილი სახით განისაზღვრა უსახლკარო პირად რეგისტრაციის პირობები და კრიტერიუმები.

კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა:

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ხორციელდება/განხორციელდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთათვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა, მათ მიმართ არსებულ სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში **ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების 303 წევრი/მათი უფლებამონაცვლე დაკმაყოფილდა.**

საერთაშორისო გრანტის თაობაზე შეთანხმებები

მ/წლის იანვარში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება მივიღეთ.

პროექტის ფარგლებში მოხდა 50,600,000 (ორმოცდაათი მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობის სესხის და 5,000,000 (ხუთი მილიონი) ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელის მოწერა, რომლითაც 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია არის დაგეგმილი. სრული რეაბილიტაცია გულისხმობს ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების პანელების შეცვლას, მგზავრთა ინფორმაციის შეტყობინების სისტემის განახლებას, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაც იცვლება, სადგურებზე უწყვეტი კვების რეჟიმიც შეიცვლება, ესკალატორებიდან ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით განხორციელდება სპეციალური პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებულ „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება ავტობუსების რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ" 2022 წლის 2 თებერვლის საგრანტო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით და აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, კონტრაქტით გათვალისწინებულ ხარჯებს აანაზღაურებს

(EBRD) შესაბამისი გრანტის სახით. აღნიშნული ცვლილებით, **დაგეგმილ იქნა გრანტის მოცულობის ზრდა - 240,000.00 ევროდან 500,000.00 - ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვის, გაჩერებების დიზაინისა და თითოეული მარშრუტის რუკის შექმნის, ასევე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის და სხვა მიზნობრიობით;**

თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოში ჩინეთის საელჩოს შორის საგრანტო შეთანხმება გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც, ვაკის რაიონში სპორტული მოედნის რეაბილიტაციას და ორი სპორტული კომპლექსის ტრენაჟორებით მოწყობა დაიგეგმა, ჩინეთის საელჩოს მიერ, საქართველოსთვის გრანტის სახით გადასაცემი - 130 000 ლარის მეშვეობით.

მ/წლის 17 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ იქნა **„ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი საგრანტო შეთანხმების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** საკითხი.

ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით, ევროპის საბჭო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყო თანხა **19 550** (ცხრამეტი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, რომელიც ემსახურება პროგრამა **„ინფორმაციის, საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაზრდა თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში“** განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვას.

ავარიული შენობა-ნაგებობები:

აქვე მსურს ხაზი გავუსვა, რომ საანგარიშო პერიოდში გრძელდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი **ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.** აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე არაერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის ე.წ. ბარაკები იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე ამახინჯებს დედაქალაქის იერსახეს.

თბილისში, 10 000-მდე ავარიული შენობა-ნაგებობა გვაქვს, რომელსაც სხვადასხვა კატეგორიის ავარიულობა აქვს მინიჭებული. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამა, რომლის საშუალებითაც ეტაპობრივად შევძლებთ ამ კორპუსების ჩანაცვლებას ახალი, თანამედროვე საცხოვრებელი სახლებით.

მ/წლის 26 სექტემბერს მუნიციპალიტეტმა **ვარკეთილის დასახლებაში, ავარიულ კორპუსებში მცხოვრებ 35 ოჯახს საცხოვრებელი ფართები გადასცა.** ბინებთან ერთად, აღნიშნულ ოჯახებს მუნიციპალიტეტისგან სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო თანხაც გადაეცემა, რომელიც ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია.

აღსანიშნავია, რომ ძველი თბილისის განახლება-რეაბილიტაცია არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. სწორედ ამ მიზნით, არაერთი პროგრამა შემუშავდა და ათეულობით მილიონი ლარიც იხარჯება დედაქალაქის ბიუჯეტიდან. მაგალითად:

- იპ „თბილისის განვითარების ფონდი", სრული დატვირთვით არის ჩართული ძველი თბილისის, ისტორიული უბნების განახლება-რეაბილიტაციის პროცესში;
- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში რაიონის გამგეობები ახორციელებენ ათეულობით ასეთ შენობა-ნაგებობებში გამაგრებით თუ სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს;
- შეიქმნა ახალი პროგრამა - „ავარიული სახლების ჩანაცვლება", რა დროსაც, მუნიციპალიტეტი სრულიად, თავისი ხარჯებით ახორციელებს ძველი ავარიული საცხოვრებელი კორპუსების ჩანაცვლებას ახალი, თანამედროვე და გარემონტებული კორპუსებით.

თუმცა, გარდა აღნიშნულისა, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობებში მცხოვრები პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის, დეველოპერების ჩართულობა ისტორიულ უბანში ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციის პროცესში.

აღნიშნულთან დაკავშირებით მ/წლის მარტში განვახორციელეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში ცვლილება, რომელიც ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას.

კერძოდ, შესაძლებელი გახდა ავარიული სახლის მესაკუთრეებთან შეთანხმების შემდეგ ბიზნეს სექტორმა თავად მოახდინონ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება ან რეაბილიტაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესი, ავარიული სახლის ჩანაცვლებას ან რეაბილიტაციას მოახდენს მხოლოდ ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის" მიერ შემუშავებული დეტალური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

აღნიშნულის სანაცვლოდ, კი მუნიციპალიტეტი ბიზნეს სექტორს სთავაზობს, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომელიც უნდა მდებარეობდეს აუცილებლად კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონის გარეთ (და არა ისტორიულ უბანში) გაუზარდოს შესაბამისი ოდენობის K-2 კოეფიციენტი.

გარდა აღნიშნულისა, პროექტის მიხედვით, ბიზნეს სექტორს მიეცემა შესაძლებლობა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონის გარეთ (და არა ისტორიულ უბანში) არსებულ მიწაზე, რომელიც იქნება მათი საკუთრება, ან სხვისი საკუთრება თუმცა, ამ მიწის მესაკუთრეთა თანხმობის შემთხვევაში, მოითხოვონ K-2 კოეფიციენტის გადამეტება, რის

სანაცვლოდაც მათი მხრიდან მოხდება შესაბამისი ოდენობის საფასურის გადახდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

აღნიშნული თანხა, კი, რაც ამ პროცესიდან მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, მოხმარდება სწორედ ისტორიულ უბანში ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციას, რასაც დადგენილი წესების მიხედვით უზრუნველყოფს ააიპ „თბილისის განვითარების ფონდი".

ამდენად, ბიზნესის ჩართულობის ეს აღნიშნული პროცესები და პრინციპები, ერთის მხრივ ხელს უწყობს, რომ არ მოხდეს ზედმეტი მოცულობებით მშენებლობის განხორციელება და მაქსიმალურად დავიცვათ ისტორიული უბნების იერსახე, რაც არის ძველი თბილისის სიმდიდრე და ისტორია, ხოლო მეორეს მხრივ დავიცავთ და ხელს შევუწყობთ ამ უბნებში ავარიული სახლების მესაკუთრეებს გაიუმჯობესონ საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს უძრავი ქონების შეძენის და აღნიშნული პირთათვის მფლობელობაში გადაცემის პროცესი.** მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება კერძო საკუთრებაში არსებული ფართების (ბინების) შესყიდვა, შემდგომში, ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისათვის" უსასყიდლო უზუფრუქტის გადაცემის მიზნით. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს საბინაო ფონდში რეგისტრირებული აქვს 92 ბინა.

<u>სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით:</u>

სატრანსპორტო სფეროს მოწესრიგების თვალსაზრისით განხორციელებულ იქნა რიგი ღონისძიებები, რითაც ადგილი ჰქონდა, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი, დედაქალაქის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების განხორციელებას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან შესაბამისობის მიზნით.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ტარიფების ნაწილში - უფასო მგზავრობის უფლების მქონე პირთა კატეგორიას დაემატა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული - „თბილისის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლები", რათა აღნიშნულ პირებს მინიჭებოდათ დედაქალაქის მასშტაბით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ, შეუფერხებლად გადაადგილება, დედაქალაქის იესახეზე ზრუნვისა და სამსახურებრივად განსაზღვრული ვალდებულებების, უფლება-მოვალეობების ეფექტურად შესრულების მიზნით.

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1) კატეგორია მგზავრთა გადაყვანის რეფორმა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, პირველ ეტაპზე ლიცენზიების

გაცემით, მეორე ეტაპზე - 2019 წლიდან, მარჯვენასაჭიანი და განსხვავებული ფერის ავტომანქანების შეზღუდვაზე შევიდა რეგულაცია ძალაში, **რეფორმის მესამე ეტაპი - 2023 წლის პირველი აპრილიდან შევიდა ძალაში - ელექტრონული სისტემის განახლებისა და ნებართვების გაცემის მიმართულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სათანადო ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელებით.**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:

დედაქალაქში არსებული გამოწვევებისა და მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით არაერთი ცვლილება შევიდა ასევე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის **N39-18** დადგენილებასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში, ხოლო მე, როგორც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ჩართული ვიყავი მათი სამართლებრივი ასპექტების შესწავლასა და დახვეწაში.

ამასთან, **მიღებულ იქნა ახალი დადგენილება** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ", რითაც **მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ვალდებული გახდა** მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ, **ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.**

დედაქალაქის კულტურული სფეროს ხელშეწყობის მიმართულებით

დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტში განისაზღვრა ახალი პროგრამა „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა" (კოდი 08 10), თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაციის, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობის, საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების პროექტების განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერის და მათი შემოქმედებითი ზრდის წახალისების; ღია კონკურსების გზით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურების და ხელოვანების, მათ შორის ახალგაზრდა ხელოვანების ექსპერიმენტული, ინოვაციური, კრეატიული და მასშტაბური პროექტების განხორციელების, **საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების**

შექმის და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გაკეთილშობილების მიზნობრიობით.

დაფუძნებულ იქნა საჯარო ხელოვნების ფონდი და შემუშავებულ იქნა აღნიშნულის მიერ სათანადო კონკურსის ჩატარების წესით

ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით:

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში შეტანილი ცვლილებებით, წესით განსაზღვრული, მულტიდისციპლინური გუნდის განათლების ხარისხთან და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები, აგრეთვე, პროფესიული სახელწოდებები შესაბამისობაში მოვიდა სახელმწიფო სტანდარტებთან.

განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების ეტაპობრივი სრულყოფა, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებისა და მოსახლეობის ძირეული საჭიროების გათვალისწინებით;

გაიზრდა ბენეფიციართა ლიმიტები აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში, 1550 ბენეფიციარიდან, გაიზარდა 1850 ბენეფიციარამდე, გაიზარდა ასევე ვაუჩერის ღირებულება და დაიხვეწა უფრო მეტად მიმწოდებლის მიერ დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები.

გაჩნდა ახალი ქვეპროგრამა - სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება“, რაც შესაძლებლობას მისცემს, ენფოპროთზირების საჭიროების მქონე შესაბამის ბენეფიციარებს ისარგებლონ მენჯ-ბარძაყის ან/და მუხლის სახსრის ენდოპროთეზირების დაფინანსებით, მატერიალიზებული ვაუჩერის/წერილის მეშვეობით, არაუმეტეს - 6000 ლარის ოდენობით.

განხორციელდა ასევე უმნიშვნელოვანესი ცვლილება „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის წესში“, რითაც, ძვირადღირებული მედიკამენტები ქვეპროგრამის ყველა ბენეფიციარს სრულად დაუფინანსება, მიუხედავად სოციალური სარეიტინგო ქულისა.

გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, გაცემულ იქნა თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის, „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ინიციატივის ფარგლებში - ახალი შეთანხმების ხელმოწერაზე, თანხმობა. აღნიშნულ ინიციატივას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეუერთდა 2010 წლიდან, რითაც აიღო ვალდებულება, ნახშირბადის ემისიების შემცირებასა და გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შეტანაზე. შეთანხმებაზე ხელმოწერით მერები გამოთქვამენ მზადყოფნას გადადგან კონკრეტული და გრძელვადიანი ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფს

ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად მდგარდი გარემოს დამკვიდრებას თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის.

ბიუჯეტი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132,6 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714,4 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას. ასევე, დამტკიცებული ბიუჯეტში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომიტეტების, ფრაქციების და დამოუკიდებელი წევრების გამოთქმული შენიშვნების/რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი იქნა გათვალისწინებული.

წარმომადგენლობითი ფუნქციები და საგარეო ურთიერთობები

აგრეთვე, მოგახსენებთ რომ გახლავართ **საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) აღმასრულებელი საბჭოს წევრი** და ამავე ორგანიზაციის მიერ ევროპის საბჭოს კონგრესში წარდგენილი ქართული დელეგაციის წევრი.

როგორც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარმომადგენელმა საანგარიშო პერიოდში საკრებულოს დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მივიღე ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ორ სესიასა და მონიტორინგის კომიტეტის 4 სხსომაში.

მ/წლის თებერვალში სტრასბურგში ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელშიც, საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ტყემალაძესთან და საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარესთან ოთარ გრიგოლიასთან ერათად, როგორც **საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG)** მიერ ევროპის საბჭოს კონგრესში წარდგენილი დელეგაციის წევრმა მივიღე მონაწილეობა.

სხდომაზე წევრი ქვეყნების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის შესრულების ანგარიშები განვიხილეთ.

სლოვაკეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის შესრულების მონიტორინგის მისიას ქართული მხარე ხელმძღვანელობდა, რომლის შედეგებიც დამსწრე საზოგადოებას შვეიცარიელ კოლეგასთან მატიას გიზინთან ერთად წარვუდგინე.

სხდომაზე აღვნიშნე, რომ მუშაობა მიმდინარეობს მოხსენებაზე სლოვაკეთის რესპუბლიკაში თვითმმართველობის ევროპული ქარტიის იმპლემენტაციის შესახებ, რომლის წარდგენაც კონგრესისთვის დასამტკიცებლად დაგეგმილი იყო მონიტორინგის კომიტეტის ერთ-ერთ მომავალ სხდომაზე მარტსა ან ივლისში, შემდგომ კი - კონგრესის პლენარულ სხდომაზე მისაღებად.

სხდომაზე კომიტეტის მე-5 ვიცე-თავმჯდომარის არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა.
ასევე, კომიტეტის წევრებმა უკრაინის მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში არსებული ვითარება შევაფასეთ, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ვიმსჯელეთ და ადგილობრივი და რეგიონული არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშები და სამომავლო გეგმები განვიხილეთ.

მ/წლის მარტში **სტრასბურგში მიმდინარე ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 44-ე პლენარული სესიის ფარგლებში გამართულ რეგიონების პალატის შეხვედრას დავესწარი,** სადაც ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე, „მწვანე დღის წესრიგის" მიზნებსა და ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვით საკითხებზე ვისაუბრე.

მოხსენებაში ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებსაც შევეხე და აღვნიშნე, რომ საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ კორიდორს, აქვს პოტენციალი, აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილო-სამხრეთის ტრანზიტულ პროექტებში თავისი როლი გაზარდოს და ენერგეტიკული ვაჭრობის რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბდეს.

მ/წლის ივლისის თვეში თბილისის საკრებულოს დელეგაციამ გერმანიაში, ქალაქ პოტსდამში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაში და ამავე კონგრესის ფარგლებში საერთაშორისო კონფერენციაში მივიღეთ მონაწილეობა.

3 ივლისს, პოტსდამში მაღალი დონის საერთაშორისო **კონფერენცია „რეგიონული და ადგილობრივი დონის ხელისუფლების საპასუხო ქმედება კლიმატის ცვლილებაზე - წვლილი ადამიანის უფლებების დაცვაში"** გაიმართა. კონფერენციაზე გავაკეთე მოხსენება თემაზე **„მწვანე დღის წესრიგი ადგილობრივ დონეზე - თბილისის გამოცდილება".**

მოხსენებაში აღვნიშნე, რომ კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად ეროვნული მთავრობების მიერ გლობალური ვალდებულებები არის აღებული, თუმცა

მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებაზე ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. მზარდი კლიმატური კრიზისი საფრთხეს უქმნის ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორებიც არის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრებლის უფლება.

ამასთან, ყურადღება გავამახვილე 2012 წლიდან დღემდე **„მწვანე ტრანსფორმაციის"** მიმართულებით საქართველოს წინსვლაზე. ვინაიდან, საქართველო მიისწრაფვის გახდეს ევროკავშირის წევრი, ქვეყანა განაგრძობს რეფორმების გატარებას ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული სხვადასხვა მიმართულებით, „მწვანე დღის წესრიგის" მიზნები ქვეყნის პრიორიტეტებს შორისაა. თბილისის მუნიციპალიტეტმა განახორციელა რეფორმა, რომლითაც სივრცითი მოწყობისა და ურბანული განაშენიანების პროცესში, რომელიც მოიცავს ქალაქის ეკონომიკის ყველაზე მსხვილ ინდუსტრიას, ერთმანეთს დაუკავშირა გარემოს დაცვა, ტრანსპორტი და ურბანული სერვისები. თბილისმა მიიღო 10-წლიანი გეგმა ჰაერის დაბინძურების პრევენციისთვის. ასევე ქალაქის საკრებულომ დაამტკიცა „საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების 2021–2023 წლების პროგრამა.

ასევე, აღვნიშნე, რომ ჩვენი მთავარი მიზანია მედეგი ქალაქისთვის საფუძვლის შექმნა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარება. საქართველო არის ქვეყანა მზარდი ეკონომიკით, რომელიც ცდილობს დააბალანსოს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები, შექმნას ჯანსაღი და ფინანსურად სტაბილური საცხოვრებელი გარემო ქვეყანაში და მის მუნიციპალიტეტებში,

ამავე კონგრესის ფარგლებში მ/წლის 4 ივლისის სხდომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის შესრულების ანგარიშები განვიხილეთ. ჩემს შვეიცარიელ კოლეგასთან მატიას გისინთან ერთად სლოვაკეთის რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში წარვადგინე.

მ/წლის მაისში თბილისში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმი, სახელწოდებით **„მდგრადი განვითარება - მწვანე, ჭკვიანი, ბიზნესმეგობრული"**, გაიმართა.

ფორუმზე, რომლის თემატიკაც სხვა მრავალ საკითხთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივ ჭრილს მოიცავს, მოხსენებით წარვდექი და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმის მნიშვნელობაზე ვისაუბრე. აღნიშნული ფორუმი იდეების გაცვლისა და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების პლატფორმას წარმოადგენს. ფორუმის თემატიკა ურბანული განვითარების თანამედროვე ტენდენციებს და საჭიროებებს მოიცავს, თუმცა, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ფორუმზე განვიხილეთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლება სამართლებრივ ჭრილში.

მ/წლის 24-26 ოქტომბერს, სტრასბურგში, **ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 45-ე პლენარული სესია** გაიმართა, რომელშიც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე - ზურაბ აბაშიძესთან და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლიასთან ერთად მივიღე მონაწილეობა.

სესიის ფარგლებში დებატები გაიმართა უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომზე, რომელშიც მივიღე მონაწილეობა და სიტყვით წარვსდექი. აღვნიშნე, რომ საქართველო უდასტურებს მხარდაჭერას უკრაინელ ხალხს. საუბრის თემა ეხებოდა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების როლს პასუხისმგებლობის დაკისრებაში და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიით გამოწვეული ზიანის აღწერას.

სესიის ფარგლებში ასევე მონაწილეობა მივიღე მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ გაეროს სამიტის შედეგების შესახებ დებატებში. აღვნიშნე, რომ სექტემბრის მდგრადი განვითარების მიზნების სამიტი იყო უნიკალური შესაძლებლობა სტრატეგიად ვაქციოთ ურთიერთგადაჯაჭვული კრიზისების, კოვიდ-19-ის პანდემიის გახანგრძლივებული შედეგების და ურთიერთგადამკვეთი სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების საპასუხო სავარაუდო ქმედებები. ასევე, სესიის მონაწილეებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე საქართველოს გამოცდილება გავუზიარე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. მუდმივ მზაობას გამოვთქვამ ხელი შევუწყო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდა თაობის მაქსიმალურ ჩართულობას, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს პერმანენტულად ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის აპარატში, შეიძინონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და აიმაღლონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

გარდა ამისა, მ/წლის 25 მაისს საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული პროექტის ,,მოდული ადამიანის ძირითადი უფლებების შესახებ“ ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს შევხვდი.

კამპანიის ფარგლებში მოსწავლეებს კონსტიტუციის 26-ე მუხლის (შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება) შესახებ ვესაუბრე. ასევე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში შრომითი უფლებების როლის და ცნობიერების დონის ამაღლების მნიშვნელობაზე ვიმსჯელეთ.

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, სადაც შეკითხვები ეხებოდა არასრულწლოვნების შრომას, დეკრეტულ შვებულებას, დასაქმებულთა დაცვის გარანტიებს და ა.შ.

მ/წლის 27 ივლისს ქართულ-გერმანული საზაფხულო სკოლის სტუდენტებს შევხვდი.

შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებთან სამართლებრივ საკითხებსა და ადამიანის უფლებებზე ვისაუბრე. საზაფხულო სკოლის მიზანი სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ევროპული ღირებულებების გაზიარება და მათთან ისეთ მნიშვნელოვან

სამართლებრივ საკითხებზე დისკუსია, როგორებიცაა: სამართლებრივი სახელმწიფო, დემოკრატია და ადამიანის უფლებები.

ასევე, თბილისის საკრებულოს ფუნქცია-მოვალეობებზე და თვითმმართველობის მნიშვნელობაზე მივაწოდე ინფორმაცია. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. შეკითხვები ადამიანის უფლებებს და სამართლებრივ საკითხებს, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის მუშაობასა და თვითმმართველობის როლს ეხებოდა.

აღსანიშნავია, რომ თბილისში 24-29 ივლისს გერმანიის აკადემიური სამსახურის დაფინანსებით და პარტნიორი უნივერსიტეტების ორგანიზებით მიმდინარეობს პროექტი, რომელშიც გერმანელი და ქართველი პროფესორები და სტუდენტები მონაწილეობენ.

პროექტი „ევროპული კონსტიტუციური ღირებულებები, ეროვნული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი" გერმანიის აკადემიური სამსახურის დაფინანსებით და პარტნიორი უნივერსიტეტების ორგანიზებით ტარდება.

შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტებმა საკრებულოს ისტორიული შენობა დაათვალიერეს.

პატივისცემით,

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე